



მისაღები გამოცდა მათემატიკაში

VIII კლასი

დავალემა #1-5 --- ტესტურია და თითოეული 1 ქულით ფასდება

დავალემა #6-10 --- ღია დაბოლოებიანია და თითოეული 2 ქულით ფასდება

აუცილებელია დაწეროთ მოცემული ამოცანების ამოხსნები.

1. 514\* რა ციფრი უნდა ეწეროს ფიფქის ნაცვლად რომ, ეს რიცხვი უნაშთოდ გაიყოს 18-ზე?

ა) 4

ბ) 3

გ) 6

დ) 8

2.  $125^2 - 2 \times 125 \times 45 + 45^2 =$

ა) 1245

ბ) 6400

გ) 4600

დ) 500

3. მაცივარი ჯერ გაიფდა 25% -ით ,ხოლო შემდეგ კი გაძვირდა 200 ლარით .რის შედეგადაც მისი ფასი გახდა 1100 ლარი .იპოვეთ მისი თავდაპირველი ფასი .

ა) 2000ლარი

ბ) 1500ლარი

გ) 1200 ლარი

დ) 1000 ლარი

4. საკოორდინატო სიბრტყეზე აღებულია წერტილები ,რომლებიც 2 ერთეულითაა დაშორებული x ღერძიდან და 5 ერთეულით - y ღერძიდან იპოვეთ იმ ფიგურის ფართობი , რომლის წვეროებიც ეს წერტილებია.

ა) დადგენა შეუძლებელია ბ) 10

გ) 40

დ) 20



5. მიმდევრობით აღებული სამი ლუწი რიცხვის ჯამია 96. მათ შორის უდიდესი რიცხვია :

ა) 20

ბ) 34

გ) 28

დ) 74

6. მოსაზღვრე კუთხეებიდან ერთი ისე შეეფარდება მეორეს როგორც 2:3 იპოვეთ ეს კუთხეები.

7. იპოვეთ ყველა იმ წილადის ჯამი, რომელიც მოთავსებულია  $\frac{2}{5}$ -სა და  $\frac{3}{4}$  -ს აკმაყოფილებს პირობას: მათი მნიშვნელი ტოლია 30 -ის ,ხოლო მრიცხველი მარტივი რიცხვია.



8. ორი ტურისტი ერთდროულად გამოვიდა ორი ქალაქიდან ,რომელთა შორის მანძილი 38 კმ-ია,ტურისტები ერთმანეთს შეხვდნენ 4 საათის შემდეგ.რა სიჩქარით მოძრაობდა თითოეული ტურისტი თუ პირველმა შეხვედრამდე 2 კმ-ით მეტი გაიარა ვიდრე მეორემ?

9. 
$$\frac{(-5 \cdot 7 + 20 : (-4)) : 5}{3,5 + (-3)} =$$

10.  $7(2 - X) - 6(5X - 1) = 17 - 2(4X - 3)$